

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №533

2017 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021-ის“ დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და „საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების – „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს №427 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

